დამტკიცებულია
საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის
2010 წლის 31 მარტის №10 §7 გადაწყვეტილებით

ნოტარიუსის შემცვლელი პირების რეესტრის წარმოების წესის შესახებ

ნოტარიუსის შემცვლელი პირების რეესტრის (შემდგომ ტექსტში - „რეესტრის“) წარმოების წესი დადგენილია „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე და მის შესასრულებლად

1. რეესტრი არეგულირებს ნოტარიუსის შემცვლელი პირის რეესტრში რეგისტრაციის საფუძველსა და წესს.
2. ნოტარიუსის შემცველელი პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა.
3. რეესტრში პირის რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის გადაწყვეტილებით.
4. რეესტრის ჩანაწერის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ჩანაწერის შესრულებაზე უფლებამოსილ პირს.
5. რეესტრში პირის შეყვანა ხდება:

ა) ნოტარიუსის წერილობითი განცხადების საფუძველზე;
ბ) ნოტარიუსის შემცვლელის კანდიდატის წერილიბითი განცხადების საფუძელზე;
გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჭიროა ნოტარიუსის შემცვლელის წერილობითი თანხმობა (დამოწმებული სანოტარო წესით).

6. რეესტრში ნოტარიუსის შემცვლელ პირად შეიძლება დარეგისტრირდეს პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა, რის თაობაზეც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტის დედანი.
7. ნოტარიუსის შემცვლელი ვალდებულია, რეესტრში რეგისტრაციამდე თავისი ხელმოწერის ნომუში წარუდგუნოს ნოტარიუსთა პალატას.
8. რეესტრი იწარმოება ქაღალდის, ან ელექტრონული რეგისტრაციის სახით, სადაც შეიყვანება შემდეგი მონაცემები:

ა) გვარი, სახელი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და პირადი ნომერი;
ბ) ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დრო და იმ დოკუმენტის რეკვიზიტები, რაც ადასტურებს პირის მიერ გამოცდის ჩაბარებას.

9. ნოტარიუსი ვალდებულია, შემცვლელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი წარუდგინოს საქართველოს ნოტარიუსთა პალატას.
10. ნოტარისთა პალატა ვალდებულია, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში გადაამოწმოს ნოტარიუსის შემცვლელი პირის დანიშვნის თაობაზე ნოტარიუსის მიერ მიღებული დადგენილების რეგისტრაცია.
11. რეესტრიდან ამორიცხვა ხდება იმ საფუძვლების არსებობისას, რაც გამორიცხავს პირის ნოტარიუსად მუშაობას „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
12. შემცვლელ პირად რეგისტრაცია ასეთი პირის მიმართ არ წარმოშობს ვალდებულებას, შეასრულოს შემცვლელი პირის მოვალეობა.